ოქმი:**ო02.37210181**

თარიღი:**18/01/2021**

ოქმიN11-9

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის,აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსთა საკითხების კომისიების ერთობლივი სხდომის

2020 წელი, 24 დეკემბერი

ქ. ოზურგეთი

12.00 -15.00 საათი

თავმჯდომარეობდნენ: ლ.ბიგვავა, გ.კილაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეები.

ესწრებოდნენ: კომისიათა წევრები - ლ.მგელაძე, ტ.აროშიძე, გ.თოიძე, თ.ტუღუში, თ.ბურჭულაძე, გ.ჩავლეშვილი, ლ.კილაძე, დ.მდინარაძე, ვლ.ჩავლეშვილი, ლ.საჯაია, ჯ.თავართქილაძე, ვ.ჩხაიძე.
სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გ.ღურჯუმელიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

მომხს:ლ.ბიგვავა,გ.კილაძე

თანამომხსენებელი:პ.ჭყონია

მომხსენებელმა ლ.ბიგვავამ კომისიათა წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების კორექტირებული პროექტი- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ“, ისაუბრა ძირითად პარამეტრებზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე, განაცხადა, რომ კომისიათა შენიშვნები ძირითადად გათვალისწინებულია და ეს პროექტი მეთოდოლოგიურად ყველაზე დახვეწილი და სრულყოფილია. მაგრამ კვლავ არის შენიშვნები: შემცირებულ ბიუჯეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოების შემცირების მაჩვენებელი რამდენადმე არალოგიკურია, სამუშაოების ჩამონათვალში კვლავ არაა კონკრეტიზაცია, მაგალითად-„გასწორხაზოვნების სამუშაოებში“ არ სჩანს რა სამუშაოებზეა საუბარი ან სად ხდება კონკრეტულად გზების რეაბილიტაცია, რასაც ითხოვს პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგია. გაზრდილია მუნიციპალური ტრანსპორტის მუხლში დაფინანსება, მაგრამ არაა გათვალისწინებული მგზავრთა გადაყვანის რეგულირების წესის თაობაზე მისაღები დადგენილება, ლაპარაკია ტროტუარების კეთილმოწყობაზე, მაგრამ არაა მითითებული ლოკაცია-სად კეთდება. მისასალმებელია, რომ განსაზღვრულია დასუფთავებისა და გარემოზე ზემოქმედების შუალედური და საბოლოო შესრულების მონიტორინგის ინდიკატორები. ამის შემდეგ კომისიათა

სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრმა გ.ჩავლეშვილმა დასვა შეკითხვა უმრავლესობის ფრაქციის შენიშვნების თაობაზე, განუმარტეს, რომ ნაწილობრივ გათვალისწინებულია. კომისიის წევრმა ლ.მგელაძემ აღნიშნა, რომ არაა გათვალისწინებული მძიმეტონიანი მანქანების მონიტორინგისათვის სასწორების შეძენაა-განმარტეს, რომ ნაშთების იმედი აქვთ. კომისიის წევრმა თ.ტულუშმა განაცხადა, რომ შენიშვნებს ეთანხმება, ამასთან აღნიშნა, რომ სოფელ ნატანებში არაა გათვალიწინებული რკინა-ბეტონის გზის დაგება და შეკვეთილის გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია-განმარტეს, რომ ამ გზის რეაბილიტაციაზე გაგზავნილია მოთხოვნა სამინისტროში. მანვე დააყენა საკითხი ზემო ნატანების ინტერნეტიზაციის თაობაზე-მიიღო განმარტება-საკითხი გაგზავნილია ეკონომიკის სამინისტროში. კომისიის წევრმა ლ.საჯაიამ დასვა საკითხი შემოქმედელის ქუჩის პირველ შესახვევში სანიაღვრე არხების მოწყობის, დამენიას, კოსტავას და კ.მეგრელაძის ქუჩების რეაბილიტაციის თაობაზე-მიიღო შესაბამისი განმარტებები. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ დასვა შეკითხვა ანასეულის გზის რეაბილიტაციაზე-განუმარტეს, რომ მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები. კომისიათა წევრებმა საბოლოოდ მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცებისათვის იმ გარანტიით, რომ ბიუროს სხდომაზე წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებული იქნება გამოთქმული შენიშვნები.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს

დამტკიცდეს კომისიების მიერ მომზადებული ერთობლივი დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი სამართლებრივი აქტის პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განხილვა-დამტკიცების მიზნით გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლავრენტი ბიგვავა

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე